რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორგანიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მოიცავს ფულის საბანკო ნაშთებს (მოთხოვნამდე და ვადიან ანაზღაურებებს) და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

						საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
						დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი	2018	წლის	31	დეკემბრის		2.6766	3.0701	3.3955
მდგომარეობით								
გაცვლითი კურსი	2017	წლის	31	დეკემბრის		2.5922	3.1044	3.5005
მდგომარეობით								
საშუალო გაცვლითი კურსი	2018	წლის	31			2.5345	2.9913	3.3812
დეკემბერს დასრულებული წლისათვის								
საშუალო გაცვლითი კურსი	2017	წლის	31			2.5095	2.8322	3.2315
დეკემბერს დასრულებული წლისათვის								

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განმავლობაში, შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალების დასახელება	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%, 25%
სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები	10%, 20%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	20%
კომპიუტერული აღჭურვილობა	20%

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 9

კომპანიის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია კომპანიის პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭროება. კომპანიის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში, კომპანიამ ფასს 9 დანერგა 2018 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები.

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „ რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს). მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ფინანსური აქტივი შეიძლება შეუცვლელად იყოს რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა შეამციროს ეფექტი, ან აღმოფხვრას საბუღალტრო შეუსაბამობა.

მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, სტანდარტი მოითხოვს რომ რეალურ ღირებულებაში ცვლილება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკრედიტო რისკს, აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (OCI- ში) (თუ ეს არ წამოშობს საბუღალტრო შეუსაბამობას). ახალი გამარტივებული ჰეჯირების აღრიცხვა მიზნად ისახავს საბუღალტრო გატარებების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას კომპანიის რისკ-მენეჯმენტის საქმიანობასთან.

განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს რეზერვის შეფასებისთვის. გაუფასურება ფასდება 12 თვიანი ECL მეთოდის გამოყენებით, თუ საფინანსო ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რომლის დროსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ECL მეთოდია უკვე დანერგილი.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის შესაძლებელია მთელი სიცოცხლის მანძილზე რეზერვის შექმნა.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო კომპანიის შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა კომპანიის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგორიცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განმარტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება კომპანიის მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ.

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო მუხლი	საბ. ღირ. ბასს 39- ის მიხ. 1.1.2018	საბ. ღირ. ფასს 9-ის მიხ. 1.1.2018
ფული და ფულის ექვივალენტები	313,789	313,789
მოთხოვნები საბანკო დაწესებულებიდან	3,998,584	3,998,584
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	103,272	82,457
სავაჭრო ვალდებულებები	43,791	43,791

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გადასახდელი ხელფასები და გადასახადები	53,864	53,864
--	--------	--------

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და კომპანია გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც არსებობდა ამის ობიექტური მტკიცებულება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ რომელიც გამოწვეულია ფასს 9 ის დანერგვითა და ბასს 39-ის შეცვლით 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	313,789	-	-	313,789
მოთხოვნები საბანკო დაწესებულებიდან	3,998,584	-	-	3,998,584
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	103,272	-	(20,815)	82,457
ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელი ხელფასები და გადასახადები	53,864	-	-	53,864
სავაჭრო ვალდებულებები	43,791	-	-	43,791

გ) ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფასს 9 -ის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შესახებ სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხებში:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები			
ანარიცხები			
მოთხოვნებზე			
მიწოდებიდან და		(20,815)	
მომსახურებიდან			

ფასს 15

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და კომპანიის მიერ დაინერგა ფასს 15 რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი განსაზღვრავს შემოსავლების აღიარების ერთიან მოდელს.

სტანდარტის ძირითადი პრინციპს წარმოადგენს მიდგომა რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტში წარმოდგენილია ახალი კონტრაქტზე-დაფუძნებული შემოსავლების აღიარების მოდელი შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ეფუძნება გარიგების ფასის მიკუთვნებას. ეს აღწერილია შემდგომში ქვემოთ

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ცალკე როგორც ხარჯი, ვიდრე კორექტირებული ამონაგების შემოსავლის შეპირისპირებულად.

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სახელშეკრულებო აქტივი, ან მოთხოვნა, რაც დამოკიდებულია საწარმოს შესრულების ტიპზე და კლიენტის გადახდაზე. დამკვეთის შეძენის ხარჯები და ხარჯები ხელშეკრულების შესასრულებლად, გარკვეულ კრიტერიუმებს ექვემდებარება, შესაძლებელია კაპიტალიზდეს როგორც აქტივი და ამორტიზირდეს ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. შესადარისი მონაცემების რეკლასიფიკაცია

- საინვესტიციო ქონებიდან 2,973,557 ლარის შენობა-ნაგებობის რეკლასიფიცირება მოხდა ძირითად საშუალებებში.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებიდან 9,016 ლარის რეკლასიფიცირება მოხდა გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულებაში, რეკლასიფიკაცია გამოწვეული იყო საინვესტიციო ქონებასა და ძირითად საშუალებებს შორის კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პროპორციული განაწილების შედეგად.

შესადარებელი მონაცემების გადაანგარიშების ეფექტი მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	წინა პერიოდში გამოცხადებ ული	რეკლასი- ფიკაცია	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,737,186	2,973,557	4,710,743
არამატერიალური აქტივები	7,255	-	7,255
საინვესტიციო ქონება	11,262,640	(2,973,557)	8,289,083
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	103,272	-	103,272
ნედლეული და მასალები	274,172	-	274,172
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	-
მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	3,998,584	-	3,998,584
ფული და ფულის ექვივალენტები	313,789	-	313,789
სულ აქტივები	17,696,898	-	17,696,898
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	116,513	-	116,513
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(531,680)	-	(531,680)
გაუნაწილებელი მოგება	18,016,427	-	18,016,427
სულ კაპიტალი	17,601,260	-	17,601,260
ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
წარმოქმნილი ვალდებულებები	41,774	-	41,774
გადასახდელი ხელფასები	3,150	-	3,150
გადასახდელი გადასახადები	50,714	-	50,714
სულ ვალდებულებები	95,638	-	95,638
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	17,696,898	-	17,696,898

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	წინა პერიოდში გამოცხადებული	კორექტირება/ რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან გაწეული	4,748,606	-	4,748,606
მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	(992,107)	(9,016)	(1,001,123)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	3,756,499	9,016	3,747,483
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,799,648)	9,016	(1,790,633)
ფინანსური შემოსავალი	51,115	-	51,115
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	50,147	-	50,147
მოგება დაბეგვრამდე	2,058,113	-	2,058,113
მოგების გადასახადი	-	-	-
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	2,058,113	-	2,058,113
სხვა შემოსავალი/ხარჯი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	2,058,113	-	2,058,113

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

4 შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მომსახურების და მიწოდებული პროდუქციის ტიპები:

	2018	2017
საიჯარო შემოსავლები	4,030,461	4,193,054
შემოსავალი პოლიგრაფიიდან	358,191	225,906
სხვა შემოსავლები	329,267	329,646
სულ შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,717,919	4,748,606

საიჯარო შემოსავლები მოიცავს შენობა-ნაგებობების გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალს 4,030,461 ლარის ოდენობით (2017: 4,193,054 ლარი);

სხვა შემოსავლები მოიცავს შემოსავალს: ელექტროენერგიის საფასურს-206,339 ლარი (2017: 208,970 ლარი) წყლისა და დასუფთავების საფასურს-102,590 ლარს(2017:103,092 ლარი), საპარკინგე ადგილის გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალს 6,406 (2017:8,287ლარი) ლარს, ჯართის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს-1,930 (2017: 2,084ლარი) ლარს, იურიდიული მისამართით სარგებლობის თანხას -5,380 (2017: 3,026) ლარს და საკონფერენციო დარბაზის გაქირავებიდან მიღებულ თანხას-6,622 (2017: 4,187) ლარს.

ქვემოთ წარმოდგენილია შემოსავალი მომსახურებიდან და მომწოდებლებიდან გაშლილი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით:

2018					2017			
	საიჯარო შემოსავლები	შემოსავალი პოლიგრაფიიდან	სხვა შემოსავლები	სულ შემოსავალი	საიჯარო შემოსავლები	შემოსავალი პოლიგრაფიიდან	სხვა შემოსავლები	სულ შემოსავალი
შემოსავლის აღიარების მომენტი	4,030,461	358,191	329,267	4,717,919	4,193,054	225,906	329,646	4,748,606

გენერალური დირექტორი

გასილ მენთეშაშვილი

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დროის გარკვეული მომენტი	4,030,461	358,191	1,930	4,390,582	4,193,054	225,906	9,296	4,428,256
დროთა განმავლობაში	-	-	327,337	327,337	-	-	320,350	320,350
შემოსავალი მომხმარებელთა ტიპის მიხედვით	4,030,461	358,191	329,267	4,717,919	4,193,054	225,906	329,646	4,748,606
შემოსავალი სახელმწიფო შეკვეთებიდან	495,376	192,267	-	687,643	515,360	110,191	-	625,551
შემოსავალი კერძო სექტორისგან	3,535,085	165,924	329,267	4,030,276	3,677,694	115,715	329,646	4,123,055
შემოსავალი შეთანხმების ხანგრძლივობის შესაბამისად	4,030,461	358,191	329,267	4,717,919	4,193,054	225,906	329,646	4,748,606
გრძელვადიანი შეთანხმება	4,030,461	-	315,335	4,345,796	4,193,054	-	315,698	4,508,752
მოკლევადიანი შეთანხმება	-	358,191	13,932	372,123	-	225,906	13,948	239,854
შემოსავალი ფასის ტიპის მიხედვით	4,030,461	358,191	329,267	4,717,919	4,193,054	225,906	329,646	4,748,606

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფიქსირებული ფასი	3,701,799	358,191	8,336	4,068,326	3,851,133	225,906	8,344	4,085,383
ცვლადი ფასი	328,662	-	320,931	649,593	341,921	-	321,302	663,223

განმარტებითი შენიშვნები

5 გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017 რეკლას.
საიჯარო შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები		
ცვეთის ხარჯი	332,187	302,231
შენობის დაცვის ხარჯები	46,068	46,068
სხვა საოპერაციო ხარჯები	8,313	-
პოლიგრაფიიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული		
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	185,963	213,284
პირდაპირი ხელფასი	80,564	59,429
ცვეთის ხარჯი	128,922	98,937
სხვა საოპერაციო ხარჯები	12,101	26,764
სხვა შემოსავლებთან დაკავშირებულ ხარჯები		
კომუნალური ხარჯები	225,587	254,410
სულ გაწეული მომსახურების / მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	1,019,705	1,001,123

პოლიგრაფიულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს
სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული კომუნალური ხარჯი მოიცავს 2018 წელს:

ხარჯის დასახელება	2018	2017
კომუნიკაციის ხარჯი	8,862	2,840
ბუნებრივი აირის	24,745	26,634
სხვა-საერთო		
ადმინისტრაციული ხარჯი	137,198	163,013
წყლის ხარჯი	54,782	55,780
საინტერნეტო მომსახურება	-	6,143
სულ	225,587	254,410

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017 რეკლას.
შრომის ანაზღაურება	1,150,589	1,076,965
ცვეთის ხარჯი	72,928	94,411
საგადასახადო ხარჯი	56,128	47,904
კომუნალური მომსახურება	52,140	58,059
უიმედო ვალების ჩამოწერა	37,031	294,831

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაცვის ხარჯი	30,203	30,203
საკონსულტაციო ხარჯები	22,034	13,577
საოფისე ხარჯები	12,017	9,753
მივლინების ხარჯი	10,587	11,147
სხვა საერთო ხარჯები	107,476	153,782
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,551,133	1,790,632

შრომის ანაზღაურება მოიცავს პრემიებს 18,850 ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წელს 8,098 ლარს. სხვა საერთო ხარჯები მოიცავს ელექტროენერგიის კომუნალურ ხარჯს 89,953 ლარის ოდენობით(2017: 107,312 ლარი).

7 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)

	2018	2017 რეკლასიფიცი რებული
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	43,045
სხვა შემოსავლები	(4,938)	7,102
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	(4,938)	50,147

8 ფინანსური შემოსავალი

	2018	2017 რეკლას.
დადებითი საკურსო სხვაობები	284,214	212,626
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(155,606)	(249,903)
საპროცენტო შემოსავალი	138,150	88,392
სხვა წმინდა ფინანსური შემოსავალი	408	-
სულ ფინანსური შემოსავალი	267,166	51,115

საპროცენტო შემოსავალი 2018 წლის განმავლობაში შედგება სს „თი ბი სი ბანკის“ და სს „პროკრედიტ ბანკის“ პროცენტისგან შემდგენილი განაწილებით:

საპროცენტო შემოსავლები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ 2018
სს „პროკრედიტ ბანკი“	46,432	72,760	355	119,547
სს „თი ბი სი ბანკი“	-	18,603	-	18,603
სულ საპროცენტო შემოსავალი	46,432	91,363	355	138,150

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი 2017 წლის განმავლობაში შედგება სს „თი ბი სი ბანკის“, სს „რესპუბლიკა ბანკისა“ და სს „პროგრედიტ ბანკის“ პროცენტისგან შემდგენილი განაწილებით:

საპროცენტო შემოსავლები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ 2017
სს „პროგრედიტ ბანკი“	56,955	-	-	56,955
სს „თი ბი სი ბანკი“	6,840	-	-	6,840
სს „რესპუბლიკა ბანკი“	3,416	21,181	-	24,597
სულ საპროცენტო შემოსავალი	67,211	21,181	-	88,392

საპროცენტო შემოსავლებისა და განაკვეთების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 14-ში.

საკურსო სხვაობები ბალანსის მუხლების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	დადებითი საკურსო სხვაობიდან	უარყოფით საკურსო სხვაობიდან
ფული და ფულის ექვივალენტები	283,580	153,670
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	634	1,936
სულ	284,214	155,606

9 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპანიის ბალანსზე.

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

10 ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა- დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერი აღჭურვილობა	სულ
ღირებულება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	184,449	-	786,195	207,350	351,443	95,490	180,476	1,805,403
შეძენა	-	524,390	-	227,587	10,610	34,616	54,801	9,730	861,734
ჩამოწერა	-	(11,213)	-	-	-	(142)	(24,187)	(4,608)	(40,150)
რეკლასიფიკაცია საინვ.ქონებაზე	2,369,755	-	18,696	818,785	-	-	-	-	3,207,236
2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,369,755	697,626	18,696	1,832,567	217,960	385,917	126,104	185,598	5,834,223
შეძენა		13,037	1,258,426	106,356	5,635	48,951	-	591	1,432,996
ჩამოწერა						(2,686)	-		(2,686)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,369,755	710,663	1,277,122	1,938,923	223,595	432,182	126,104	186,189	7,264,533
ცვეთა და გაუფასურება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგ.		(108,005)		(219,115)	(121,083)	(204,505)	(78,700)	(129,515)	(860,923)
ცვეთა წლის მანძილზე		(108,608)		(84,452)	(21,134)	(48,080)	(14,392)	(24,484)	(301,150)

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გასული ძირითადი საშ.		11,213		-	-	142	22,630	4,608	38,593
ცვეთა									
2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(205,400)	-	(303,567)	(142,217)	(252,443)	(70,462)	(149,391)	(1,123,480)
ცვეთა წლის მანძილზე		(128,212)		(92,712)	(22,501)	(50,742)	(13,228)	(21,726)	(329,121)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა						2,464			2,464
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(333,612)	-	(396,279)	(164,718)	(300,721)	(83,690)	(171,117)	(1,450,137)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	76,444	-	567,080	86,267	146,938	16,790	50,961	944,480
2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,369,755	492,226	18,696	1,529,000	75,743	133,474	55,642	36,207	4,710,743
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,369,755	377,051	1,277,122	1,542,644	58,877	131,461	42,414	15,072	5,814,396

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის საერთო ფართობი შეადგენს 9,100 კვ.მ.-ს. ხოლო მასზედ მდებარე შენობა-ნაგებობები - 13,805 კვ.მ.-ს, რომლიდანაც ადმინისტრაციული მიზნებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ფართის წარმოადგენს 3,497 კვ.მ, ხოლო საერთო გამოყენების ფართის -1,548 კვ.მ, შენობა-ნაგებობის დარჩენილი ნაწილი 8,760 კვ.მ-ის ოდენობით აღრიცხულია, როგორც საინვესტიციო ქონება იხ. შენიშვნა N 10.

11 საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობა	სულ
ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,190,000	4,563,404	12,753,404
შემენა		327,943	327,943
რეკლასიფიკაცია	(2,369,755)	(818,785)	(3,188,540)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,820,245	4,072,562	9,892,807
შემენა		32,750	32,750
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,820,245	4,105,311	9,925,557
ცვეთა და გაუფასურება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,410,101)	(1,410,101)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(193,623)	(193,623)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,603,724)	(1,603,724)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(203,975)	(203,975)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,807,699)	(1,807,699)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,190,000	3,153,303	11,343,303
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,820,245	2,468,838	8,289,083
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,820,245	2,297,613	8,117,858

უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N5/ დ. უზნაძის ქ. N16-18. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მიწა გამოყენებულია როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად იხ. შენიშვნა N9 ასევე საინვესტიციო ქონებად.

გენერალური დირექტორი

გასილ მენთეშაშვილი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
საიჯარო მოთხოვნები	213,436	367,003
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	150,876	24,203
სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	37,679	6,897
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	(57,846)	(294,831)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	344,145	103,272

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
31 დეკემბრის მდგომარეობით-ბასს 39-ის მიხედვით	294,831	-
რეკლასიფიცირება გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთზე	20,815	-
2018 წლის 1 იანვრისთვის საწყისი გაუფასურების ანარიცხი - ფასს 9-ის მიხედვით	315,646	-
გაუფასურების ანარიცხის ზრდა აღიარებული მოგება-ზარალში წლის განმავლობაში	37,031	294,831
წლის განმავლობაში აღდგენა	(294,831)	-
სულ გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,846	294,831

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

კურსთაშორისი სხვაობის გავლენა იხილეთ შენიშვნა N8.

13 ნედლეული და მასალები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017 რეკლ.
ნედლეული და მასალები	374,381	257,142
პოლიგრაფიული მასალები	12,976	12,976
სხვა მასალები	5,036	4,054
სულ ნედლეული და მასალები	392,393	274,172

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ნედლეული და მასალები მოიცავს სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო მასალებს, მათ შორის ცემენტს, არმატურას, ასევე წყლის რეზერვუარის მოწყობისთვის განკუთვნილ მასალებს.

14 მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017 რეკლ.
ვადიანი ანაბარი	5,165,046	3,934,790
დარიცხული პროცენტი	40,062	63,794
სულ მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	5,205,108	3,998,584

კომპანიას 2018 წლის დასრულებული წლისთვის გახსნილი ჰქონდა 1 წლიანი ანაბრები ნომინალური საპროცენტო სარგებლით - 2,5 % სს თი ბი სი ბანკსა და 3%, 3,25%, 1,75% -სს პროკრედიტ ბანკებში. სს თი ბი სი ბანკის მიმართ მოთხოვნა შეადგენდა 3,040 ლარ, ხოლო სს -სს პროკრედიტ ბანკის მიმართ კი-37,022 ლარს. საპროცენტო შემოსავლების შესახებ იხილეთ დეტალურად მე-7 განმარტებითი შენიშვნაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა არსებითი განსხვავება ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ანაბრები გახსნილი აქვს სს „თი ბი სი ბანკსა“ და სს „პროკრედიტ ბანკში“, დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ბანკის დასახელ.	ხელშეკრ. ულების გაფორმე ბის თარიღი	საბოლ. თარიღი	წლიური საპროცენ. განაკვეთი	ვალუტა	პროც. თანხის გატანა	ძირი თანხის გატანა	ანაბარზე განთავსებ ული თანხა	დარიცხ. პროცენტი
ბანკი 1	13-06-18	13-06-19	3.00%	აშშ დოლარი	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	330,828	5,465
